იმპერიის დაცემის მიზეზები

VII - XII კლასები

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

დავალების პირობები:

ვარიანტი N1

- ქვემოთ მოცემულია „დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის მიზეზები“;
- ყოველი ტიპის მიზეზებიდან ამოარჩიეთ თითო მიზეზი (სულ ოთხი მიზეზი), რომელიც, თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია;
- ეს ნამუშევარი შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც თემის, ასევე პრეზენტაციის სახით;
- თემაში ან პრეზენტაციისას დაასაბუთეთ, თუ რატომ მიგაჩნიათ თქვენს მიერ ამორჩეული ოთხი მიზეზი ყველაზე მნიშვნელოვნად;
- გარდა სახელმძღვანელოსი, კარგი იქნება თუ გამოიყენებთ დამატებით ლიტერატურას;

ვარიანტი N2

- ქვემოთ მოცემულია „დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის მიზეზები“;
- ამ მიზეზებზე დაყრდნობით შეიმუშავეთ სხვა რომელიმე იმპერიის დაცემის მიზეზები. მაგალითად, არაბული სახალიფოს, მონღოლთა იმპერიის, ბიზანტიის იმპერიის, თურქ-ოსმალთა იმპერიის, რუსეთის იმპერიის, სსრკ - ის და სხვა;
- თქვენი მოსაზრებები პრეზენტაციის სახით გააცანით კლასს და იმსჯელეთ მათ შესახებ;
- პრეზენტაცია უნდა წარმოადგინონ სხვა მოსწავლეებმაც;
- კლასში იმართება დისკუსია. თითოეული მოსწავლე ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;
- ამგვარი დავალება შეიძლება მოსწავლეთა ჯგუფებსაც დავავალოთ;
- გარდა სახელმძღვანელოსი, კარგი იქნება თუ გამოიყენებთ დამატებით ლიტერატურას.

ვარიანტი N3

- ასევე, შესაძლებელია ორი ან რამდენიმე იმპერიის დაცემის მიზეზების ერთმანეთთან შედარება;
- ამ შემთხვევაში, მოსწავლეებმა ჯერ უნდა წარმოადგინონ ორი ან რამდენიმე იმპერიის დაცემის მიზეზები, ხოლო, შემდეგ ისინი შეუდარონ ერთმანეთს;
- ეს ნამუშევარი შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც თემის, ასევე პრეზენტაციის სახით;
- პრეზენტაციის შემთხვევაში, შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობა;
- გარდა სახელმძღვანელოსი, კარგი იქნება თუ გამოიყენებთ დამატებით ლიტერატურას.
  ყურადღება: გთავაზობთ ლიტერატურის მითითების წესს Word – ის ფაილში. არსებობს ლიტერატურის მითითების შემდეგი წესი: უნდა შევიდეთ Word - ში, REFERENCES - ში და შემდეგ კურსორი დავიფიქსიროთ იმ ადგილას, რომელიც გინდათ რომ მიუთითოთ, ხოლო შემდეგ დავაჭიროთ AB(1) – Insert Footnote (1 – იანი ზემოთაა წითელი ფერის). შეიქმნება სქოლიო.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის მიზეზები

მიზეზის ტიპი - 1: ეკონომიკური მიზეზები:

1. სავაჭრო კავშირების დასუსტება
2. ომების შედეგად დიდი სიმდიდრის დაგროვება ცალკეული ადამიანების ხელში
3. ოქროსა და ვერცხლის ქვეყნიდან გადინება (ფუფუნების საგნებსა და ომებზე)
4. ინფლაცია (პროდუქტის გაძვირება) გამოწვეული ფულის გაუფასურებით
5. სასოფლო მიწების გამოფიტვა
6. მონობა და სამუშაო ეთიკის დაკარგვა
7. გაუთავებელი ომები და სამხედრო გადახარჯვა
8. სამუშაო ძალის შემცირება
9. უმუშევრობა და მოსახლეობის გაღატაკება
10. ტექნოლოგიების დაბალი დონე
11. მეურნეობის ნატურალიზაცია
12. მონეტარული სისტემის კრიზისი ოქროსა და ვერცხლის შემცირების გამო

მიზეზის ტიპი - 2: პოლიტიკური მიზეზები:

13. პოლიტიკური კორუფცია
14. მოსახლეობის გულგრილობა სახელმწიფოთი და პოლიტიკით
15. ქალაქების კრიზისი
16. გადასახადების აკრეფის უუნარობა ხელისუფლების მიერ
17. ცალკეული მმართველების სეპარატიზმი
18. სუსტი იმპერატორები
19. აღმოსავლეთ (ბიზანტიის) იმპერიის აღმასვლა
20. მხედართმთავრების გაუკონტროლებლობა ცენტრალური ხელისუფლების მიერ
21. სამხედრო ინტრიგები (ძალაუფლების ხელში ჩაგდება, სამხედრო და პოლიტიკური მკვლელობები)
22. აჯანყებები იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში

მიზეზის ტიპი - 3: სამხედრო მიზეზები

23. საგარეო მტრის შემოსევა
24. ჯარისკაცებში პატრიოტული სულისკვეთების დაკარგვა (იბრძოდნენ მხოლოდ ფულისთვის)
25. არმიის ბრძოლისუნარიანობის დაკარგვა;
26. რომაელთა დაპყრობების შეჩერება
27. ანარქია არმიაში და მისი ხელმძღვანელობის არაეფექტურობა;
28. ჯარისკაცთა ექსპლუატაცია (მეთაურთა მიერ მათი გასამრჯელოს მითვისება);
29. არმიაში მოსახლეობის გაწვევის/რეკრუტირების პრობლემები
30. არმიაში პროფესიონალების შემცირება
31. სამხედრო ტექნიკის განვითარების შეჩერება

მიზეზის ტიპი - 4: და სხვა მიზეზები

32. ქრისტიანობის გამარჯვება და ტრადიციული ღირებულებების დაკარგვა
33. დემოგრაფიული კრიზისი
34. ოჯახის იდეალის ნგრევა (განქორწინებების რიცხვის ზრდა)
35. კლიმატის ცვლილება
36. ეპიდემიები
37. იმპერიის ტერიტორიის სიდიდე;